# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
# ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

KA000027892952518

0900 ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ N49 Tel:+995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ–ფოსტა:akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 6

06 / მარტი / 2018 წ.

## განკარგულება

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ცენტრალური სტადიონისა და მასზე მდებარე შენობა - ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"- ს 122-ე მუხლის 6-ე პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ცენტრალური სტადიონისა და მასზე მდებარე შენობა ნაგებობების გადაცემა ხუთი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სკოლისგარეშე სპორტული დაწესებულება ა(ა)იპ ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი"-სათვის შემდეგი სახით:

ა) ქალაქ ახმეტაში თუშეთის ქუჩა N2, მდებარე ცენტრალური სტადიონი 27833.0კვ.მ

არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი. ს/კ 50.04.42.334

ბ) შენობა-ნაგებობები შემდეგი განაშენიანების ფართებით: N01-240კვ.მ; N02-772 კვ.მ;

N03-230კვ.მ; N04-8.5კვ.მ.

განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

რამაზ ბაღაკაშვილი